



საქართველო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



N 147  
16/01/2019

ზუგდიდი

147-02-4-201901161733



მერის ბრძანება

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N43 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**


საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წლის 16 იანვრის N434/02 და 449/02 მომართვების საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N43 ბრძანების დანართ N1-ში და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a vertical stroke at the end.

მერის მოვალეობის შემსრულებელი - მ.შ.